“ბურგენიძეს ორი კონკურენტი ჰყავს: გია თორთლაძე და ვანო მერაბიშვილი”

გაზეთი “ახალი თაობა” – 13 ოქტომბერი, № 283 , 2008

ინტერვიუ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, რა გავლენას იქონიებს ამერიკის და რუსეთის ფინანსური კრიზისი საქართველოზე. რამ განაპირობა საერთაშორისი ფინანსური კრიზისი?

– მოდით, ამერიკულ და რუსულ კრიზისს ერთ ქვაბში ნუ ჩავყრით. ეს სხვადასხვა ფენომენია. ამერიკაში იპოთეკური სექტორის კრიზისი დაიწყო. რადგან ამერიკის, ევროპის და აზიის ფინანსური ბაზრები ინტეგრირებული არიან, შემდეგ ამან გამოიწვია ჯაჭვური რეაქციაა. რაც შეეხება რუსულ კრიზისს, უნდა ითქვას, რომ რუსეთის საფინანსო ბაზარი ქართულთან შედარებით უფრო განვითარებულია, მაგრამ მსოფლიო საფინანსო ბაზარში არ არის ინტეგრირებული. რუსული კრიზისის ფენომენი ცოტა უფრო სხვაა. ეს არის ეკონომიკის პუტინიზაციის შედეგი, როცა პრაქტიკულად მოხდა სახელმწიფო მონოპოლიების შქმნის ხელშეწყობა. მიუხედავად ამისა, რუსეთის ეკონომიკა ღრმა კრიზისში არ აღმოჩნდებოდა, რომ არა აგრესია საქართველოს მიმართ. მისი ქმედება შეფასდა უკიდურესად უარყოფითად, რის შედეგადაც რუსეთის მიმართ შეიქმნა ძალიან ცუდი საერთაშორისო გარემო.

– ანუ საქართველოსთან წარმოებული საომარი მოქმედებებია რუსეთის კრიზისის მთავარი მიზეზი?

– ასეა. იმიტომ, რომ როცა საუბარია რუსეთის დიდი რვიანიდან გარიცხვაზე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კარების დახურვაზე, ეს თითქოს ერთი შეხედვით არაფერია, მაგრამ ინვესტორებში შიშს ბადებს.

თანაც საუბარია შესაძლო ეკომომიკურ სანქციებზეც. ამას დაემატა მსოფლიო ბაზარზე ნავთობიოს ფასების ვარდნა: ნავთობის ფასები დაეცემით რუსეთის ეკომომიკას კიდევ უფრო მეტად გაუჭირდება. ეს კი ინვესტორებში კიდევ უფრო მეტი პანიკის საფუძველია.

– იქონიებს თუ არა საერთაშორისი ფინანსური კრიზისი გავლენას საქართველოზე და არის თუ არა ამ ეტაპზე საქართველოში კრიზისი?

– ეს კრიზისი არ არის უშუალოდ დასავლეთში, თუ რუსეთში ჩამოყალიბებული ფინანსური კრიზისის შედეგი. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობა არის ბარიერი იმისა, რომ კრიზისი ჩვენზე უშუალოდ არ გადმოვიდეს. თუმცა საერთაშორისო კრიზისს საქართველოზე ირიბი ზეგავლენა მაინც ექნება. ჯერ ერთი: პოტენციური ინვესტორები საქართველოში ან ნაკლებად შემოვლენ, ან საერთოდ არ შემოვლენ. ინვესტორებს აქვთ თავიანთი დანაზოგები განთავსებული სხვადასხვა კომპანიების ფასიან ქაღალდებში. ამიტომ დღეს ისინი თავიანთ საინვესტიციო რესურსს კარგავენ. ასეთ პირობებში, რატომ უნდა შემოვიდეს საქართველოში ინვესტიცია, განსაკუთრებით მას მერე, რაც საქართველო ჯერ რუსულ ჩექმას ბოლომდე არც დაუტოვებია. იმავდროულად, ამ კომპანიებიდან ინვესტიციების განხორციელებაზე, გარდა იმისა, რომ მოქმედებს ის დანაკარგები, რაც მათ აქვთ გლობალური ფინანსური კრიზისის გამო, ამას ემატება ნავთობზე ფასების დაცემა. ჩვენთან ფართოდ არის წარმოდგენილი არაბული კაპიტალი, რომლის მთავარი შემოსავლის წყარო ნავთობის ბიზნესია. ისინი უშუალოდ ამ წყაროდანაც შემოსავალს კარგავენ. არის კიდევ ერთი პრობლემაც: ეს არის ჩვენი მოქალაქეების მიერ ფულადი გზავნილების შემცირება. მოსალოდნელია, რომ უცხოური ინვესტიციებითა და ფულადი გზავნილებით ქვეყანაში ნაკლები უცხოერი ვალუტა შემოვა.

– შესაბამისად, შეიძლება ის ფინანსური დახმარებაც სრულად ვერ მივიღოთ რასაც ამერიკა და ევროპა აგვისტოს ომის შედეგების ლიკვიდაციისთვის დაგვპირდა?

– დახმარებას ალბათ სრულად მაინც მივიღებთ, მაგრამ შეიძლება დროში გაიწელოს, ხოლო როცა მივიღებთ, ამ მიღებული დახმარების

მსყიდველობითი უნარი ნაკლები იქნება. თუ ავიღებთ სავაჭრო ბალანსს, ჩვენი იმპორტი 4-ჯერ და მეტად აღემატება ექსპორტს, ანუ სავაჭრო ოპერაციებით ჩვენ 4-ჯერ და მეტად ვკარგავთ ვალუტას, ვიდრე შემოგვდის. ამის დაბალანსება კი ხდებოდა უცხოური ინვესტიციებითა და ფულადი გზავნილებით. იმის გათვალისწინებით, რომ უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები შემცირდება ამ დაბალანსების ეს წყარო შემცირდება, ანუ საფრთხე ექმნება ლარის სტაბილურობას. მაგრამ ეს საფრთხე შეიძლება შესუსტებულ იქნას, თუ კი გავითვალისწინებთ, რომ ეს უცხოური დახმარება უნდა მივიღოთ, განსაკუთრებით 750 მლნ დოლარი, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეზერვების შესავსებად უნდა მიიღოს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან. მართალია, ლარის სტაბილურობას საფრთხე ექმნება, მაგრამ მე არ ვიტყოდი, რომ კატასტროფული სიტუაცია შეიქმნება, თუ კი ეროვნული ბანკი და მთავრობა სწორ პოლიტიკას გაატარებენ.

– თქვენ ინვესტიციების შეჩერებაზე საუბრობთ, პრეზიდენტმა კი უკვე გააპიარა, რომ ომის მიუხედავად საქართველოში ინვესტიციების შემოსვლა გრძელდება.

– საქართველოში ბევრი რამე არის გაპიარებული. ცოტა არ იყოს მიჭირს ამ თემაზე საუბარი. მაგრამ ამ თემას ამ კუთხით შევხედოთ: ახლა გასაყიდად გამოიტანეს რამდენიმე სტრატეგიული ობიექტი – ფოთის პორტი, რეგიონული აეროპორტები, ელექტროსისტემა, მიწა. სწორია თუ არა, ეს. პრივატიზაცია რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ არ არის გამართლებული, როცა ასეთ მტრულ გარემოცვაში ხარ. დღეს კიდევ უფრო მეტად არ არის გამართლებული, რადგან ერთის მხრივ – რუსული აგრესიის ქვეშ ხარ, მეორეს მხრივ – გლობალური კრიზისია. როცა გლობალური კრიზისია და ჩვენ რაღაცას ვყიდით, ვინ შემოვა ასეთ პირობებში, თანაც ისეთ ქვეყანაში, სადაც რისკის ფაქტორი აშკარად გაზრდილია? – შემოვა საეჭვო წარმომავლობის კაპიტალი...

– რისთვის დასჭირდა ხელისუფლებას ამ ობიექტების მაიმცდამაინც ამ ეტაპზე პრივატიზება?

– ალბათ, ბიუჯეტის შესავსებად. თანაც როცა აქ საეჭვო კაპიტალი შემოდის, გარდა იმისა, რომ ის ოფოციალურად იხდის ბიუჯეტის სასარგებლოდ, ცნობილია, რომ ჩინოვნიკებსაც შესაბამისად "ასაჩუქრებს".

– ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს ხელისუფლება წამსვლელია, გასაქცევად ემზადება და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ფული მოხვეჭოს და გაიტანოს.

– ჩემი აზრით, ეს ხელისუფლება სულაც არ ფიქრობს, რომ წამსვლელია. შეიძლება ბევრს უნდა ხელისუფლება ასე ფიქრობდეს, მაგრამ თავად ხელისუფლება ამას ვერ ვამჩნევ. გეტყვით რამდენიმე მომენტს, რის გამოც ის არ ფიქრობს წავლაზე. პირველი: აქვს დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა; არის კრიტიკული პუბლიკაციები და დასვნებიც, მაგრამ პოზიტიური ჭარბობს. მეორე, ვის უნდა, რომ დღეს სააკაშვილი წავიდეს – მედვედევ-პუტინის ტანდემს და ისინი ამას არც მალავენ. მედვედევმა პირადაპირ თქვა: "სააკაშვილი პოლიტიკური გვამიაო". როგორ შეიძლება კაცი ჩათვალო პოლიტიკურ გვამად, რომელსაც იწვევენ საერთაშორისო ფორუმებზე, ეკონტაქტებიან სხვადასხვა პრეზიდენტები და აქაც ჩამოდიან. ამიტომ საზოგადოებაში იმის თქმა, რომ სააკაშვილი უნდა წავიდეს, ნიშნავს რუსული სცენარის რეალიზაციას. ეს კი თავისთავად ხელს უწყობს იმას, რომ კიდევ უფრო სტაბილურად იგრძნოს ამ ხელისუფლებამ თავი და სულაც არ ფიქრობდეს, რომ წამსვლელია. ამას ემატება ის, რომ ჩვენთან პრაქტიკულად დამოუკიდებელი ტელევიზია არ არსებობს, რომელიც ობიექტურად გააშუქებს მოვლენებს. გაზეთების ყიდვის საშუალება კი საზოგადოების დიდ ნაწილს არ აქვს, თორემ გაზეთები საკმაოდ ობიექტურ სურათს ხატავენ. ასეთ პირობებში ხელისუფლება კომფორტულად რძნობს თავს. თუ ეტყვიან, რატომ არა გაქვთ სიტყვის თავისუფლებაო, გაზეთებზე მიუთითებს. ხოლო თუ ეტყვიან ტელევიზიაზე, "კავკასიას" მიუთითებს, რომელიც ძირითადად თბილისს ფარავს. სხვა არხები ყველა სახელისუფლო კონტროლქვეშაა. ერთი დამოუკიდებელი საკაბელო არხიც კი იმდენად შიშს იწვევს ხელისუფლებაში, რომ რაღაც სასაცილო (სატირალი, რომ არ იყოს) სტუაციაც კი ჩამოყალიბდა "მაესტროსთან" დაკავშირებით. ახლა გადავხედოთ ოპოზიციას. ჰყავს კი ოპოზიციას გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც ხალხში იქნებოდა ძალზედ

პოპულადრული? უნდა ვაღიაროთ, და ნუ ეწყინებათ ოპოზიციის ლიდერებს, რომლებსაც თავიანთი ნიშა აქვთ, გამოკვეთილი ლიდერი დღეს არც ერთი ნამდვილად არ არის. ოპოზიციაში არ არის ლიდერი, რომელსაც ხალხი უსიტყვოდ გაყვება; და მესამე, არ არსებობს, საფინანსო რესურსი, რომელიც ოპოზიციის ქმედებას დააფინანსებს. აქედან გამომდინარე, ხალხი როგორი უკმაყოფილოც არ უნდა იყოს, ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ფაქტია, ხელისუფლება არ ფიქრობს, რომ წამსვლელია. აქვე იმასაც დავუმატებ, რომ ოპოზიციაში ერთ გამოკვეთილ ლიდერზე მოთხოვნა ჩვენი საზოგადოების დაბალი პოლიტიკური კულტურის გამომხატველია, რამეთუ ძალაში რჩება არქაული ფორმულა: "ცუდი მეფე, კარგმა უნდა შეცვალოს!"

– სახელისუფლო კრიზისს გამორიხავთ?

– კრიზისული ვითარება უკვე შექმნლია იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენმა მთავრობამ, უკვე დიდი ხანია, რაც ყველანაირი ნდობის მანდატი ამოწურა. ალბათ პრეზიდენტი სააკაშვილი თავისი "ბუდიდან" რამდენიმე "ბარტყს" გადააგდებს, რომ "მელამ" ის თავად არ "შეჭამოს". რა თქმა უნდა, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს პარლამენტი, რომელშიც არის დეკორაციული ოპოზიცია და რაღაც პაროდიული საქმიანობა ჩვენი მთავარი პოლიტიკური ორგანოსი, რასაც პარლამენტი ჰქვია. ამიტომ, ეს რა თქმა უნდა, პოლიტიკური კრზისისი ნიშნებია, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რაც ზემოთ აღვნიშნე, ხელისუფლება ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს.

– როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად ვის შეცვლიან მთავრობაში?

– სავარაუდოდ, შეცვლიან პრემიერ-მინისტრს. ლადო გურგენიძისთვის ეს სულაც არ იქნება გაწირვა: მას აქვს თავისი ბიზნესი და მას დაუბრუნდება. მან თავის "სივიში" კიდევ ერთი პლუსი ჩაიწერა, იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. ეს იქნება კიდევ ერთი საფეხური მისი შემდგომი კარიერისათვის. მთავარი ის არის, რა არ გაიწირება. იცით, რა არ გაიწირება? – მთავრობის საქმინაობის პრინციპი. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, კონკრეტულად რომელ პირს გაუშვებენ. ხშირად ამბობენ, რომ მთავრობის პოლიტიკა არის ლიბერალური, ზოგის აზრით კი ნეოლიბერტანიანისტული. მაგრამ არც ერთი

არ არის სწორი, რადგან ორივე ეფუძნება საკუთრების ხელშეუხებლობას. ჩვენთან კი დღესაც არ არის კერძო საკუთრება დაცული. უკვე კარგა ხანია მთავრობა ვოლუნატარისტული პრინციპით მოქმედებს. ვინც არ უნდა შეიცვალოს მთავრობაში, ვეჭვობ, რომ ხელისუფლებამ უარი თქვას ამ მთავარ პრინციპზე – ვოლუნტარიზმზე.

– პირადად თქვენ რომელი მინისტრის საქმიანობას შეაფასებდით უარყოფითად?

– როგორც არაექსპერტი, ნამდვილად შევიკავებ თავს ძალოვანი სამინისტროების შეფასებაზე. ხოლო ვინც არ უნდა შეიცვალოს დანარჩენი, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ყველაზე კარგი ეკონომისტი ვინც მთავრობაში იყო, მიუხედავად ჩვენი პოზიციების განსხვავებულობისა, იყო ლექსო ალექსიშვილი. ამ დონის ეკონომისტი მთავრობაში არ ყოფილა, თუმცა ჩვენ თანამოაზრეები არასოდეს ვყოფილვართ. მის გარდა ყველა სხვა ფინანსიტის, თუ ეკონომისტის პაროდია უფროა.

– რუსეთის ასეთი აგრესიის ფონზე კახა ბენდუქიძე რომ ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობას ინარჩუნებს და სტრატეგიული ობიექტების პროვატიზაციას განაგრძობს, ეს ნორმალურად გეჩვენებათ?

– ბატონი კახა კი არ არის პრობლემა, პრობლემა არის ის, ვისაც ის სჭირდება. სანამ ამ მთავრობაში იქნება ვოლუნტარიზმი, როგორც ქვეყნის მართვის ძირითადი პრინციპი, აუცილებელია ბენდუქიძე ამ მთავრობაში იყოს. მე ისეთი განცდა მაქვს, რომ ხვალ შეიძლება ბენდუქიძე ფორმალურად აღარ იყოს მთავრობის სამსახურში, მაგრამ ის მაინც "რუხი კარდინალივით" დარჩება და მთავრობის წევრები იქნებიან მისი სრული ზეგავლენის ქვეშ: მისი უხილავი ქსელი ყველა შემთხვევაში იქნება სამთავრობო სტუქტურებში.

– ბატონო ლადო, თქვენ ზემოთ ახსენეთ შავი კაპიტალი. რამდენად ნოყიერი ნიადაგია დღეს საქართველოში შავი კაპიტალისთვის?

– დღეს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამშენებლო ბიზნესი. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან "პირამიდის პრინციპი" მოქმედებდა. სამშენებლო ბიზნესი საქართველოში ადრე თუ გვიან უნდა აფეთქებულიყო. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ომის შემდგომ მოსახლეობამ თავისი ანაბრები

გაიტანა და ბანკებს გაუჭირდათ, ამან კი პირდაპირ ასახვა ჰპოვა სამშენებლო ბიზნესზე. მაგრამ სხვა ცუდი ნიშნებიც გამოიკვეთა.

– რას გულისხმობთ, ვანო მერაბიშვილის მხრიდან სამშენებლო კომპანიებისთვისთვის დევნილების სახლების მშენებლობის „შეწერებას"?

– მე ვერ გეტყვით ეს უშუალოდ მერაბიშვილის ინტერესია თუ არა. ეს არის ჩვენი სახელმწიფოს მიდგომა, რომ კერძო კომპანიებს აწერენ, აიძულებენ, უფასოდ, ან ნაწილობრივი ანაზღაურებით, ააშენონ დევნილებისთვის სახლები. ამან გამოიწვია ის, რომ დღეს სამშენებლო კომპანიები გაჩერებული არიან. აქ არის ორი პრობლემა: ერთი, ის კომპანიები გაჩერდა, რომლებსაც "პირამიდის" ეფექტით სირთულეები შეექმნათ და მეორე ისინი, რომელთაც ეს სირთულეები არ შექმნიათ, მაგრამ გაჩერდნენ შეგნებით, რომ აჩვენონ, თითქოს ეკონომიკურად უჭირთ, თუ არადა შეაწერენ ამ უფასო სახლების მშენებლობას. კარგია, ყველა დავეხმაროთ გაჭირვებულებს, მაგრამ არ შეიძლება ბიზნესის განადგურების ხარჯზე სახელმწიფოს მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება. უფრო მეტიც, დღეს როცა მშენებლობას უჭირს, კარგი იქნებოდა სახელმწიფოსგან წამოსულიყო გარკვეული შესყიდვები და სამშენებლო ბიზნესს ეს თანხები ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა. ამით რამდენიმე კომპანია შეიძლება გადარჩენილიყო. ახლა კი პირიქით დაყაჩაღება მიდის. სამშენებლო კომპანიები ან გაჩერდნენ ან მუშაობენ არალეგალური გზებით. პრაქტიკაში უკვე თავი იჩინა ჩემოდნით ანგარიშსწორებამ. ასე ვიტყოდი, „ქეშის" ბიზნესი გახდა პოპულარული, როგორც ეს ვარდების რევოლუციამდე იყო. ქვეყანაში არსებულ ასეთ მძიმე ფონზე, როცა სახელმწიფო უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაციას აცხადებს, ეს სწორედ ასეთი შავი ფულის შემოდინებას შეუწყობს ხელს. ასევე ეს ხელს შეუწყობს ჩვენივე ჩინოვნიკების მიერ დაარსებული კომპანიების მხრიდან ამ ქონების შეძენას.

– თქვენ პარლამენტს სკეპტიკურად უყურებთ და პაროდიული უწოდეთ. რას ნიშნავს იგივე ასეთი დეკორაციული ოპიზიციის მონაწილებით ანტიკრიზისული საბჭოს შექმნა და რას უნდა ველოდეთ ბოლოს შექმნილი საპარლამენტო კომისიებისგან?

– პარლამეტის ოპოზიციას სკეპტიკურად არ ვუყურებ, პირიქით, მე ის ძალიან მომწონს! მათი საქციელი გმირული იყო, როდესაც ხალხში პოპულარულ ოპოზიციას გვერდში არ დაუდგნენ და როცა ამ უკანასკნელმა უარი თქვა პარლამენტში შესვლაზე, მათ გმირული ნაბიჯის გადადგმა დასჭირდათ, რომ ხალხის სიძულვილის ფასად შესულიყვნენ პარლამენტში, მათ არ შეეშინდათ ხალხის რისხვის. ამას ხომ ვაუკაცობა სჭირდება! რაც შეეხება ანტიკრიზისულ საბჭოს, ეს ღიმლისმომგველი ორგანოა, იმიტომ, რომ რაც ამ კომისიას დაევალა, ამას უნდა აკეთებდეს მთავრობა. თუ გია თორთლაძე პრეზიდენტის მიერ არის შერჩეული, როგორც ამ საქმის საუკეთესო მკეთებლად, მაშინ დაენიშნა ის პრემირ-მინისტრად, ლადო გურგენიძეს ისედაც ხომ წყალი აქვს შეყენებული.

– ამ კომისიას მთავრობის ფუნქციები აქვს?

– რა თქმა უნდა. რაც შეეხება 18 თვიან პროგრამას, დევნილებისთვის სახლების მშენებლობას, რომელიც დაევალა შინაგან საქმეტა მინისტრს, მაინტერესებს, რა შუაშია პოლიცია და უშიშროება მშენებლობასთან. ესეც მთელი მთავრობის და პრემიერ-მინისტრის საქმეა. თუ ითვლება, რომ მერაბიშვილი არის პრინციპულად ყველაზე სწორი და სანდო ასეთი რთული პროექტების განსახორციელებლად, სჯობია დანიშნონ პრემიერ- მინისტრად, ეს ლოგიკური იქნება. დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ გურგენიძეს ყავს ორი კონკურენტი: გია თორთლაძე და ვანო მერაბიშვილი. რატომ გეცინებათ?

– თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილმა შესაძლოა პრემიერ- მინისტრიეს პოსტი გია თორთლაძეს ჩააბაროს?

– არა, რა თქმა უნდა. პრემიერად მოიყვანენ აბსოლუტურად სხვა პიროვნებას. მაგრამ ყველაფერი ისევ ისე დარჩება, ანუ რეალურად ქვეყანაში, სულ ცოტა, სამი მთავრობა მაინც გვეყოლება...

შორენა კოწოწაშვილი